

ქვირდება თუ იაფლება პრედიტი?!

„საქართველოში პოპულიზმი ამით არც დაწყებულა და
არც დასრულდება“

ქირნალი “სიტყვა”, № 2, იანვარი, 2008

„სიღარიბის დასაძლევად და ახალი სამუშაო ადგილების
შესაქმნელად ჩვენ გავცემთ 4-დან 10%-ამდე „იაფ კრედიტებს“
მიხეილ სააკაშვილი (ეკონომიკური პროგრამა)

„ბანკის მუშაობის მექანიზმი არის ამგვარი: მოიზიდავს დეპოზიტს
ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და მობილიზებულ რესურსს გასცემს
კრედიტის სახით. დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 7-8%-
ია. მაღალპროცენტიან დეპოზიტს ბანკი, რა თქმა უნდა, 4%-ად ვერ
გასცემს.“

„თი-ბი-სი“ ბანკის ვიცეპრეზიდენტი, ნინო მასურაშვილი

„იაფი კრედიტების“ საკითხზე მთავრობასა და ბანკებს შორის
კონსესუსი რომ შედგეს, „თამაშში“ მესამე მხარედ სახელმწიფო ბიუჯეტი
უნდა ჩაერთოს. სუბსიდიის სახით გაცემული სახელმწიფო სახსრები, ერთი
მხრივ, სააკაშვილის დაპირების შესრულებას უზრუნველყოფს და, მეორე
მხრივ, ბანკის ინტერესს დაკმაყოფილებს.

„იაფი კრედიტი დასაქმებისთვის 2008 წლის განმავლობაში“, – ასე
ეწოდება პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკური
პროგრამის ერთ-ერთ ქვეთავს. პროგრამა რამდენიმე ძირითადი
კომპონენტისგან შედგება.

პირველი – საგადასახადო კრედიტი ახლად შექმნილი
საჭარმოებისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ 2008 და მომდევნო წელს ყველა

ახლად შექმნილი საწარმო მიიღებს საგადასახადო კრედიტს. საწარმოები 10 წლის განმავლობაში არ გადაიხდიან 2000 ლარის ოდენობის გადასახადს, ანუ გადასახადები გადავადდება. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 120 მილიონი ლარი გამოიყოფა.

მეორე – რეინვესტირების საკრედიტო პროგრამა საშუალო ბიზნესისთვის. ამ მიზნით 100 მილიონი ლარი გამოიყოფა, ეს თანხა 5 წლიანი განვადებით და 10%-იანი განაკვეთით გაიცემა.

მესამე – საექსპორტო წახალისების პროგრამა. პროგრამის განსახორციელებლად 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

მეოთხე – იაფი კრედიტები რეგიონული განვითარებისთვის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დიდი პროგრამისთვის. იგეგმება ასეულობით ტრაქტორის შეძენა, რომლებიც 15 წლიანი განვადებით გაიცემა.

მეხუთე – 4%-იანი 25-წლიანი კრედიტები პრიზის სახით. საინტერესო ბიზნესგეგმისა და ბიზნესპორექტის წარმდგენებს პრიზის სახით გადაეცემათ 4%-იანი კრედიტები, 5-დან 100 ათას ლარამდე, 25 წლის ვადით.

აღნიშნული ეკონომიკური პროგრამის თეზისები მთავრობის სამოქმედო პროგრამაში უკვე დეტალურად არის გაწერილი. „სახელმწიფო პროგრამა „იაფი სესხი“ – ასე ჰქვია სამოქმედო გეგმას, რომელიც სხვადასხვა სფეროში „იაფი კრედიტების“ გაცემისთვის პირობების მომზადებას ითვალისწინებს.

ფინანსთა სამინისტროს ევალება, 1-ლ თებერვლამდე შეიმუშაოს სესხის გაცემის წესი და მასთან დაკავშირებული პროცედურები.

საქართველოს მთავრობამ ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს კანონის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება 2008 წლიდან დასაფარი სახელმწიფოს შიდა საკრედიტო რესურსებიდან გაცემული სასესხო ვალდებულებების გადავადება. გადავადებული სასესხო ვალდებულებები 100 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს, სესხით სარგებლობის ვადა – 5 წელს, სესხის სარგებლობის წლიური განაკვეთი კი – 10%-ს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამა უნდა მოამზადოს და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 25

მილიონი ლარის ფარგლებში საკრედიტო რესურსი იმ საწარმოებსა თუ ორგანიზაციებზე უნდა გასცეს, რომლებმაც 2007 წლის განმავლობაში განახორციელეს ექსპორტი არანაკლებ მიწოდებული საქონლის 10%-ისა და არაუმეტეს 75%-ისა. საექსპორტოდ მიწოდებული საქონლის 75%-იანი ზედა ზღვარი არ ვრცელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე. ექსპორტირებული საქონლის ლირებულება არ უნდა იყოს 100 ათას ლარზე ნაკლები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ პირზე გაცემული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მილიონ ლარს, სესხით სარგებლობის წლიური განაკვეთი კი – 10%-ს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ევალება ასევე „რეგიონული ტურიზმისა და ხალხური რეწვის“ ქვეპროგრამის მომზადება. პროგრამის განსახორციელებლად სამინისტროსთვის 10 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეკონომიკის სამინისტრომ შესაბამისი საკრედიტო რესურსი შემდეგი პირობების გათვალისწინებით უნდა გასცეს: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საბანკო დაწესებულებების მეშვეობით 50 ათას ლარამდე სესხი უნდა გაიცეს. სესხით სარგებლობის მაქსიმალური ვადა 10 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი პარტნიორი და კომერციული ბანკებისთვის 2%-ია, ხოლო ბენეფიციარი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის – არაუმეტეს 12%-ისა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ქვეპროგრამა უნდა მოამზადოს პროექტ „100 ქართული ბიზნესპროექტი 2008-ის“ ფარგლებშიც. სახელმწიფო ამ მიზნით 5 მილიონ ლარს გამოყოფს. ერთ პირზე ჯილდოს სახით 5-დან 100 ათას ლარამდე თანხა შეიძლება გაიცეს – 25 წლამდე ვადით და 4%-იანი წლიური განაკვეთით.

გარკვეული დაგალებების შესრულება ევალება სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც. ამ უწყებამ „სოფლის მექანიზაცია 2008-ის“ ქვეპროგრამა უნდა შეიმუშავოს. სახელმწიფო სახსრებიდან გამოყოფილი 30 მილიონი ლარის ფარგლებში სამინისტრო უნდა შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები და ლიზინგით სარგებლობის უფლებით გადასცეს სასოფლო-სამეურნეო დარგში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ლიზინგით სარგებლობის მაქსიმალური ვადა 25 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4%.

ქვეპროგრამის მომზადება ევალება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც. „ცოდნის კარი“ – ასეთია იმ ქვეპროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებში სამინისტრომ სახელმწიფოსგან გამოყოფილი 3 მილიონი ლარი საკრედიტო რესურსის სახით 10 წლის ვადით და 6%-იანი წლიური განაკვეთით უნდა გასცეს.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ინიცირებულ და მთავრობის მიერ შემუშავებულ „იაფი კრედიტების“ პროგრამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც.

პარლამენტის დეპუტატი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვლადიმერ პაპავა პროგრამის დადებით მხარედ შემდეგ ფაქტორს მიიჩნევს:

„იაფი კრედიტები“ შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს მცირე ბიზნესისა და დამწყები ბიზნესმენებისთვის. იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ კარგი იდეა ბიზნესის დასაწყებად, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური რესურსი ან ისეთი ქონება, რომლის საფუძველზეც შეიძლება აიღონ საბანკო კრედიტი. ასეთი ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შედავათიან პირობებს, დაბალ საპროცენტო განაკვეთს. ეს პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიყენება.“

იდეა რომ კარგია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ არის საკითხები, რომლებმაც კარგი ჩანაფიქრი შეიძლება კონტრპროდუქტიული გახადოს. უზომო არც პესიმიზმი ვარგა, თუმცა მხოლოდ ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც „იაფი კრედიტების“ იდეას თან ახლავს, როგორც ერთგვარი საფრთხე.

ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ შეიძლება კორუფციული გარიგებების დიდი ალბათობა მივიჩნიოთ.

ვლადიმერ პაპავა: „როდესაც ბაზარზე ჩამოყალიბებულია საკმაოდ მაღალი საბანკო პროცენტი და, იმავდროულად, არსებობს მცირეპროცენტიანი კრედიტის აღების შესაძლებლობა, ეს უკვე არის სტიმული კორუფციული გარიგებებისთვის.“

სწორედ 20 %-იან და 10%-იან კრედიტს შორის სხვაობა არის მიმზიდველი იმისთვის, რომ სახელმწიფო მოხელემ კრედიტი გარკვეული

ქრთამის აღების სანაცვლოდ გასცეს. მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დღეისთვის წარმოდგენილი სქემებით, არის არა მხოლოდ 10%-იანი, არამედ 4%-იანი კრედიტის აღების შანსიც, ასეთი დაბალი საპროცენტო განაკვეთი კორუფციული გზით გადაწყვეტილების მიღებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველია. ხოლო, თუ სახელმწიფო მოხელემ კრედიტის გაცემაში ფული აიღო, ის კრედიტი საერთოდ აღარ დაბრუნდება. იმიტომ, რომ კრედიტი უკვე არის „ნაყიდი“, მასში უკვე გადახდილია „საფასური“.

ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ მთავრობის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოიყვანონ შემდეგი მსჯელობა: საქართველოში ბრძოლა მექრთამების წინააღმდეგ წარმატებით მიმდინარეობს, და რომ ყველა იმ მოხელეს დასჯიან, რომელიც შეეცდება ქრთამის აღებას.

ასეთი ბრძოლა, მართლაც, უნდა წარმოებდეს და ქრთამის აღების სურვილიც არ უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო მოხელეებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ „იაფ კრედიტებს“ ეს საფრთხე მოჰყვება.“

კორუფციული გარიგებების საფრთხე რომ გამოვრიცხოთ, პრობლემურ საკითხად მაინც დარჩება „იაფი კრედიტების“ ზემოქმედება საკრედიტო ბაზარზე. ვლადიმერ პაპავას თქმით: „იაფი კრედიტების“ ინიციატივა საკრედიტო ბაზარზე უარყოფითად იმოქმედებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა საქონელზე უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი საბაზრო ფასი. წარმოვიდგინოთ, რომ პურზე არის ერთიანი ფასი, რომელსაც არეგულირებს ბაზარი და უცებ გამოჩნდა სახელმწიფო პური, რომელიც იქნება იაფი, მაგრამ ყველას არ შეხვდება. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი უარყოფითად აისახება პურის ბაზარზე. ზუსტად იგივეა საბანკო კრედიტიც. ეს არის ის პროდუქტი, რომლის ფასიც არის მისი საპროცენტო განაკვეთი.“

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: საპრეზიდენტო არჩევნები და პლებისციტი სახელმწიფო ხაზინას საკმაოდ ძვირი დაუჯდა, გაცილებით მეტი თანხები დასჭირდება საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც, თუ პარლამენტი პლებისციტის შედეგებს დაამტკიცებს, გაზაფხულზე უნდა გაიმართოს, თუ არა და – შემოდგომაზე მაინც. მნიშვნელოვანი ფინანსები

დასჭირდება ახალ საარჩევნო დაპირებებს და უკვე დაპირებულის შესრულებასაც.

ვლადიმერ პაპავა: „2008 წელი საკმაოდ ძლიერი ინფლაციური დატვირთვის მქონე წელი იქნება. ქვეყანაში საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხალხისთვის მიცემული დაპირებების მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ბუნებრივია, ექნება სურვილი, პარლამენტში უმრავლესობა გაიყვანოს, კარგად იცის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ყოლის პირობებში მას გაცილებით გაუადვილდება მუშაობა. ყველანაირად ეცდება კიდევ, გაიყვანოს უმრავლესობა.“

„უმრავლესობა როგორ უნდა გაიყვანო? – დაპირებებით, მორიგი სოციალური პროგრამებით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვება. იქნება მაღალი ინფლაცია, ანუ ფულის დიდი მასა გავა სამომხმარებლო ბაზარზე, რაც გამოიწვევს ინფლაციას. აუცილებელი გახდება ინფლაციის მოთოკვა, რაც არცოუ იოლია.“

ნოემბერში, როდესაც პარლამენტში მთავრობის ნდობის საკითხის იხილებოდა, პრემიერმინისტრ გურგენიძეს ასეთი კითხვა დავუსვი: როგორ აპირებს მთავრობა ინფლაციისთვის თავის გართმევას? მან მითხვა, რომ 2008 წელს, სამწუხაროდ, ხელთ არ აქვთ რესურსი, რომ ინფლაცია შეაჩერონ მთავრობის ხარჯების მოთოკვით, მაგრამ ინფლაციის წინააღმდეგ გამოიყენებენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ანუ გააძვირებენ საბანკო კრედიტს. საბანკო კრედიტის გაძვირება კრედიტის საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ნიშნავს.“

პრემიერმინისტრის პასუხიდან გამომდინარე, საქართველოში, ერთი მხრივ, საბანკო კრედიტი უნდა გაძვირდეს, მეორე მხრივ, უნდა ამოქმედდეს „იაფი კრედიტების“ გაცემის ინიციატივა. ვლადიმერ პაპავა მთავრობის ამ სტრატეგიას მარჯვნივ და მარცხნივ ერთდროულად წასვლის მცდელობად აფასებს. „იაფი“ და „ძვირი“ კრედიტების ერთროულად არსებობა „ძვირ“ კრედიტებზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად შეამცირებს. შესაბამისად, უნდა ვიგარაუდოთ, რომ საკრედიტო ბაზარზე დღეისთვის არსებული

საპროცენტო განაკვეთის ზრდა შემოსავლების ზრდას დიდად ვერ შეუწყობს ხელს.

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: პრემიერმინისტრისა და ფინანსთა მინისტრების ერთმანეთთან შეუთანხმებელი საკრედიტო არითმეტიკა. ამ არითმეტიკას ვლადიმერ პაპავა მთავრობის კიდევ ერთ კურიოზს უწოდებს:

„2008 წლის ბიუჯეტის პროექტში მთავრობას უწერია, რომ სესხებზე 2007 წლის მოსალოდნელი საშუალო საპროცენტო განაკვეთი იყო 21,1%, ხოლო 2008 წლის პროექტით იქნება 18,9%. ანუ, ერთი მხრივ, გურგენიძემ თქვა, რომ უნდა გაძვირდეს კრედიტი, 2008 წლის პროექტში კი ჩაწერეს, რომ კრედიტის ფასი მცირდება. როდესაც ამის გამო პარლამენტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრ გილაურს განმარტება ვთხოვე, გაიკვირვა, ეს ციფრები საიდან აიღეთო. მე კიდევ ის გამიკვირდა, რომ მას წაკითხული არ პქონდა ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც წარმოადგენდა და რომელშიც თავად ეწერა ეს ციფრები. რას ვიზამთ, საქართველოში პოპულიზმი ამით არც დაწყებულა და არც დასრულდება.“

მადლენ მაჭარაშვილი